

საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) დამტკიცებულ დანართში (შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით) მოცემულ ცხრილში 40.1.2.3. გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

40.1.2.3	განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დასახლებთა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის პრივატიზებისა, რომლიდან შემოსული თანხები სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში) ტერიტორიაზე.	65		35
----------	---	----	--	----

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი